




ქ ე ვ ა ნ ს ა მ ხ ა რ ა უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 15681

თბილისი

20 8 201 4



6000813514


სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მუდმივმოქმედი უნივერსალური სატენდერო კომისიის და აპარატის შექმნის შესახებ

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების ეფექტიანობის სრულყოფის მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი უნივერსალური სატენდერო კომისია (შემდგომში- სატენდერო კომისია), რომელიც თავის საქმიანობას განახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად. სატენდერო კომისია შედგება სავალდებულო და ფაკულტატური (არასავალდებულო) წევრებისაგან. სავალდებულო წევრები მონაწილეობას იღებენ სატენდერო კომისიის ყველა სხდომაზე. ფაკულტატური (არასავალდებულო) წევრები სატენდერო კომისიის სხდომაზე მონაწილეობას იღებენ სავალდებულო წევრების სხდომის ოქმით დადგენილი, კონკრეტული მიწვევის საფუძველზე, გარდა სამსახურებრივი აუცილებლობით ან სხვა ობიექტური გარემოებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ყველა შემთხვევაში კომისიის სრული შემადგენლობა აისახება სატენდერო კომისიის შესაბამის ოქმში. სატენდერო კომისიის სხდომაზე როგორც სავალდებულო, ასევე ფაკულტატური (არასავალდებულო) წევრები მონაწილეობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ვიხელმძღვანელებ რა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მუდმივმოქმედი უნივერსალური სატენდერო კომისია და მისი აპარატი.
2. გიორგი მურვანიძე - ბიუროს უფროსის მოადგილე, დამტკიცდეს მუდმივმოქმედი უნივერსალური



6000813514

სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ.

3. გიორგი მუმლაძე - ბიუროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, დამტკიცდეს მუდმივმოქმედი უნივერსალური სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

4. დამტკიცდეს სატენდერო კომისიის სავალდებულო წევრების შემადგენლობა N1 დანართის შესაბამისად.

5. დამტკიცდეს სატენდერო კომისიის ფაკულტატიური (არასავალდებულო) წევრების შემადგენლობა N2 დანართის შესაბამისად.

6. დამტკიცდეს სატენდერო კომისიის აპარატის წევრების შემადგენლობა N3 დანართის შესაბამისად.

7. სატენდერო კომისიის სხდომაზე მონაწილე პირთა კონკრეტული შემადგენლობა განისაზღვროს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმით ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.

8. სატენდერო კომისიის თავმჯდომარე იმავდროულად არის სატენდერო კომისიის აპარატის თავმჯდომარე.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვება ამ ბრძანების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი